პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 145 (3629)

1968 წ. 25 ივლისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 24-ე წელი.

◆ **იგსი (ავსტრია), 24 ივლისი.** სსრ კავშირის გუნდი განაგრძობს ლიდერობას სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადის მთავარ ფინალურ ტურნირში. III ტურში საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ისლანდიის წარმომადგენლები, IV — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი (3,5:0,5), ხოლო V — ჩეხოსლოვაკიელები (2,5:1,5). ამრიგად, მათ ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვეს და 15 ქულა აქვთ 20-დან.

◆ **ამსტერდამი, 24 ივლისი.** აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის VII ტურში კავალეკმა (ჩეხოსლოვაკია) მოუგო დონერს (ჰოლანდია), ხოლო ბრონშტეინმა — კოტოვს (ორივე — სსრ კავშირი). ივკოვისა (იუგოსლავია) და ლენდიელის (უნგრეთი) პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო. სატურნირო ცხრილის სათავეში 5-5 ქულით არიან ივკოვი და კავალეკი. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება ბრონშტეინი.

# სპორტი დაამშვენებს ფესტივალს

28 ივლისს ბულგარეთის დედაქალაქში აღიმართება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალის ალამი. სოფიაში 110 ქვეყნის 15 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი შეიკრიბება. გრანდიოზული ახალგაზრდული ფორუმის მრავალფეროვანი პროგრამა მეტად საინტერესო ღონისძიებების მთელ სპექტრს შეიცავს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ფერადოვანი იქნება სპორტული ასპარეზობანი. აას-ის კორესპონდენტმა სთხოვა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ი. გენეროზოვს ეამბნა ფესტივალის სპორტული ნაწილის შესახებ.

— სპორტული ასპარეზობა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ფესტივალის ფარგლებში ტრადიციულია. ფესტივალის ორგანიზატორებმა ამჯერად შემოგვთავაზეს შეჯიბრების საინტერესო პროგრამა — სარბიელი დაეთმობათ მუშათა და სტუდენტთა ეროვნულ გუნდებს, სპორტულ კლუბებს, აგრეთვე ეროვნული ფედერაციების იმ სპორტსმენებს, რომლებიც შესაბამისი საერთაშორისო სპორტული ფედერაციების წევრები არ არიან.

ფესტივალის მონაწილენი და სტუმრები ბულგარეთის საუკეთესო სტადიონებზე იასპარეზებენ. შეჯიბრებების უმეტესობა სოფიაში ჩატარდება. აქ ერთმანეთს შეხვდებიან მძლეოსნები, მოცურავეები, წყალში მხტომელები, ტანმოვარჯიშეები. ძალოსნები ვიდინში გამოვლენ ფიცარნაგზე, მოკრივეები — პლოვდივში, მაგიდის ჩოგბურთის ოსტატები — პლევენაში. სულ ვაჟებისთვის შეჯიბრება განზრახულია 15 სახეობაში, ქალებისთვის — ცხრაში.

გამარჯვებულებს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს გადასცემენ. სპორტსმენები, რომლებიც პირველ ექვს ადგილს დაიკავებენ, საპატიო დიპლომებს მიიღებენ. სპეციალური თასები გადაეცემათ გუნდებს, რომლებიც სპორტის კოლექტიურ სახეობებში I ადგილებზე გავლენ.

მაგრამ ახალგაზრდობის ზეიმის სპორტული პროგრამა უძლიერესთა ასეთი ოფიციალური სტარტებით როდი შემოიფარგლება. ორგანიზატორებს განზრახული აქვთ მძლეოსნობასა და ცურვაში ჩაატარონ შეჯიბრება, რომელშიც ფესტივალის ყველა დელეგატსა და სტუმარს შეუძლია მონაწილეობა.

მოეწყობა დიდი საფეხბურთო ტურნირი. სოფიაში მოელიან ისეთ ცნობილ ევროპულ გუნდებს, როგორიც არიან უნგრეთის „ფერენცვაროში", საფრანგეთის „სენტ-ეტიენი", ჩეხოსლოვაკიის „დუკლა", ბულგარეთის „ლევსკი", იტალიის „იუვენტუსი" და სხვ.

ფესტივალის დღეებში საერთაშორისო სპორტულ კლუბებში ჩატარდება სემინარები სპორტული მოძრაობის მთავარ პრობლემებზე. დელეგატები და სტუმრები გაეცნობიან სპორტულ ლიტერატურისა და ფოტოგრაფიის გამოფენას, ნახავენ საუკეთესო სპორტულ ფილმებს, შეხვდებიან მსოფლიოს სახელმოხვეჭილ სპორტსმენებს.

სსრ კავშირი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიოს ფესტივალზე დიდ სპორტულ დელეგაციას გზავნის. საბჭოთა ქალიშვილები და ჭაბუკები მონაწილეობას მიიღებენ მოცურავეთა, წყალში მხტომელთა, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენელთა, მძლეოსანთა, მოკრივეთა, კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა, ველოსიპედისტთა, ხელბურთელთა, ფრენბურთელთა, კალათბურთელთა, ჩოგბურთელთა, ძალოსანთა შეჯიბრებებში. დაწესებულებების, ინსტიტუტების, ტექნიკუმების კოლექტივები ფესტივალზე თავიანთ უძლიერეს სპორტსმენებს გაგზავნიან. დავასახელებ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს. ესენი არიან: მძლეოსანი ქალიშვილები — სსრ კავშირის რეკორდსმენი გოგონებში ნ. ბრინცევა (ბაქო), ნ. ზესფამილნაია (მოსკოვი), მისი თანაქალაქელი ტ. ბიჩკოვა, ნოვოსიბირსკელი ო. ტიტოვა; მოსკოველი წყალში მხტომელი თ. ჯნევევა. სპორტულ ტანვარჯიშს ფესტივალზე წარმოადგენს სსრ კავშირის პირველობის პრიზიორი, ლენინგრადელი ა. ვაშჩაევი. ქალთა გუნდში შედიან მხატვრული ტანვარჯიშის ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორიც არიან ლ. ხავინკოვა (შაპოშნიკოვა), ნ. ოვჩინიკოვა, ა. ნაზმუტდინოვა. ფესტივალზე გამოვლენ „დონეცკსტროიკანალის" კალათბურთელი ვაჟები. კალათბურთელ ქალთა შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ნაკრების წევრები, რომლებმაც ახლახან იტალიაში ევროპის ჩემპიონთა სახელი მოიპოვეს. საფეხბურთო ტურნირში გამოვა მოსკოვის „ბურევესტნიკის" სტუდენტური გუნდი. პატარა ჩოგნის ოსტატთა შემადგენლობაშია მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ზ. რუდნოვა. ძალოსნებს მეთაურობს სსრ კავშირის ჩემპიონი, ტაშკენტელი ე. ქარიმოვი.

ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენებს დიდი სურვილი აქვთ კარგად გამოვიდნენ ფესტივალის შეჯიბრებებში, კიდევ უფრო განამტკიცონ ყველა ქვეყნის ახალგაზრდობის მეგობრობა.

# ახალი ამბები

● **კელსინკი, 23 ივლისი.** აფროსნობის ისტორიაში პირველად მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება საბჭოთა ეკიპაჟმა „ურჩხულის" კლასში: ფინეთის დედაქალაქში დამთავრებულ შეჯიბრებაში ამ ტიტულს დაეუფლნენ მესაჭე ი. ანისიმოვი და ეკიპაჟის წევრები ვ. რუჟნიკოვი და ვ. აფანასიევი. მათი ნავი „ნორდი" მეექვსე რბოლის ფინიშთან მხოლოდ მერვე იყო, მაგრამ უძლიერესის სახელი საბჭოთა სპორტსმენებმა მანამდე, მეექვსე რბოლამდე გაინაღდეს (16 ქულა).

## გფრ-ის სპორტსმენები შპორტბუნდის წინააღმდეგ

დასავლეთგერმანელმა სპორტსმენებმა და სპორტის მოღვაწეებმა მონაწილეობა მიიღეს „ტრადიციულ საზაფხულო სპორტულ დღეებში", რომელიც გდრ-ში ჩატარდა. გრაალ-მიურიცში, როსტოკის ახლოს, მოეწყო გფრ-ის სპორტსმენთა ორსაათიანი დისკუსია გდრ-ის ფიზიკური კულტურისა და სპორტის წარმომადგენლებთან. გერმანიის სპორტული ტანვარჯიშული კავშირის (გდრ) ვიცე-პრეზიდენტმა ა. ჰაილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოლიმპიური იდეა ხალხთა შორის მეგობრობიდან და ურთიერთგაგებიდან გამომდინარეობს. ამიტომ სპორტსმენთა ყოველგვარი დისკრიმინაცია და თანასწორუფლებიანობის დარღვევა ოლიმპიური იდეალების ხელყოფაა. სწორედ ამ გზას ადგას დასავლეთგერმანული სპორტული ხელმძღვანელობა, რომელიც ბონის მითითებით განაგრძობს ძველი დოქტრინის განხორციელებას და არ აღიარებს გდრ-ს სპორტის სფეროში.

იმაზე, თუ რა ზიანს აყენებს ეს პოლიტიკა სპორტსმენთა ინტერესებს, ლაპარაკობდა ცნობილი საერთაშორისო მსაჯი კრივში ე. ედამოვსკი (გსენი). დასავლეთგერმანელმა მოღვაწემ დამსწრეთ უამბო, რომ ბონის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩაშალა ევროპის მოკრივეთა მორიგი ჩემპიონატის კიოლნში ჩატარება. მან უარი თქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ალმის აღმართვასა და ჰიმნის შესრულებაზე. ედამოვსკიმ თავის კოლეგებს მოუწოდა უფრო გადაჭრით იბრძოლონ გფრ-ის სპორტსმენთა საქმეში ბონის პოლიტიკოსთა ჩარევის წინააღმდეგ.

ინსლაკენელი ფეხბურთის მსაჯის კ. ვებერისა და „ფკ 05 შვაინფურტის" მმართველობის წევრის ქ. კრიმპელის თაოსნობით დისკუსიის დასავლეთგერმანელმა მოღვაწეებმა მიიღეს „კეთილი ნების გადაწყვეტილება", რომელიც მკაცრად კიცხავს გფრ-ის შპორტბუნდის პოლიტიკას. განცხადება შეიცავს მკაცრ მოთხოვნას, რომ გდრ-ისა და გფრ-ის სპორტსმენთა შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდეს.

(ახალი ამბების სააგენტო).



# შაქარაშვილი და მაღალთაძე — უძლიერესნი

**კიევი, 24 ივლისი** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სიჭაბუკის I საკავშირო თამაშები მიიწურა. ხვალ გაიმართება ბოლო შეხვედრები და შედეგებიც შეჯამდება. ჯერჯერობით, 10 სახეობის შემდეგ საერთო გუნდური ადგილები ასე ნაწილდება: რსფსრ — 175 ქულა, უკრაინა — 170, მოსკოვი — 154, ბელორუსია — 144, საქართველო — 134, ლენინგრადი — 116, ლატვია — 108, აზერბაიჯანი — 95, ლიტვა — 88, სომხეთი — 81, უზბეკეთი — 80, ესტონეთი — 78, მოლდავეთი — 76, ყაზახეთი — 65, ტაჯიკეთი — 41, ყირგიზეთი — 38, თურქმენეთი — 30.

საქართველოს გუნდის ყულაბაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს სამბისტებმა, რომლებმაც IV ადგილი მოიპოვეს (ჩემპიონი გახდა რსფსრ). პირად ჩათვლაში ჩვენმა ჭაბუკებმა ოქროს 2, ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 2 მედალი დაისაკუთრეს. საქებია კასპელი ვეტერანის, ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის ლ. კაციაშვილის აღზრდილების შ. შაქარაშვილისა და ლ. მაღალთაძის გამოსვლები: თავიანთ წონებში მათ პირველობა მოიპოვეს. ამასთან, მაღალთაძეს იუნიორებში ევროპის ჩემპიონმა, მოსკოველმა მერკულოვმაც ვერაფერი დააკლო.

თავიანთ წონებში II ადგილზეა ჯ. ხომასურიძე, III — ჯუმბერ ჯანაშვილი და ზ. შალამბერიძე.

სხვა წონებში ჩემპიონები გახდნენ: ნ. სულეიმანოვი (უკრაინა), ა. ხალინი (რსფსრ), ვ. დვოინიკოვი (ბელორუსია), ვ. დომნიცენკო (მოსკოვი), ვ. კოროევი (რსფსრ), ვ. ნოვიკოვი (ბელორუსია) და ვ. კორობკოვი (რსფსრ).

გაიმართა მორიგი შეხვედრები ხელბურთში. ჩვენმა ბიჭებმა მოუგეს ლენინგრადელებს — 17:15 (9:8) და ჯერჯერობით IV ადგილზე იმყოფებიან. საქართველოს ჭაბუკთა გუნდს ბოლო შეხვედრა მოსკოველებთან აქვს და გამარჯვების შემთხვევაში III ადგილს დაისაკუთრებს. ჯერჯერობით ლიდერობენ უკრაინელები.

საქართველოს ხელბურთელ გოგონებს მორიგი მატჩი რსფსრ-ს ნაკრებთან ჰქონდათ და დამარცხდნენ—7:18, (4:10). აქაც წაუგებლად ლიდერობენ უკრაინის სპორტსმენები.

ბადმინტონში საქართველოს გუნდის 4 წევრიდან 3 თბილისის მე-80 სკოლის მოსწავლეა. ერთეულთა ტურნირი დამთავრდა. ჭაბუკებში თბილისელმა ვ. ბოგაჩუკმა 27-ე, ხოლო ქუთაისელმა ს. ბერუნოვმა 28-ე ადგილები დაიკავეს, გოგონები ი. კონდრატიევა და ლ. კისელკევიჩი მე-18 და 21-ე ადგილებზე გავიდნენ. ჩვენმა ჭაბუკთა წყვილმა XIII ადგილი დაიკავა, გოგონები კი V-VI ადგილებისთვის აგრძელებენ ბრძოლას.

მოფარიკავეებმა შედეგები შეაჯამეს. ბოლო სახეობაში — დაშნით ასპარეზობაში ჩემპიონი გახდა რსფსრ-ს ნაკრები, საქართველოს გუნდმა კი III ადგილი დაიკავა. ფარიკაობის საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. რსფსრ, 2. საქართველო, 3. უკრაინა.

ვერაფრით გაგვახარეს ველოსიპედისტებმა, წყალში მხტომელებმა და მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენლებმა.

ჯ. ენუქიძე.

სიჭაბუკის I საკავშირო თამაშების მონაწილე ჩვიდმეტივე გუნდიდან თითო საუკეთესო სპორტსმენის დასაჯილდოებლად დაწესებული იყო სპეციალური პრიზები. საქართველოს დელეგაციაში საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს თამაშების ჩემპიონი, მოფარიკავე დალი ბუხრაშვილი, რომელსაც გადაეცა უკრაინულ სპორტულ ჟურნალ „სტარტის" პრიზი და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი.

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის 89-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე დალი ბუხრაშვილი.

ფოტო ი. იუნაევისა.



[illegible]

### გულრიფში

ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის სტადიონზე გაიმართა აფხაზეთის ლელობურთელთა პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის რაიონების ნაკრები გუნდები. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ შარშანდელი ჩემპიონი — გულრიფშის რაიონის ნაკრები და გალის კოლექტივი. გაიმარჯვეს გულრიფშელებმა — 36:9.

შ. ჯალაღონია.

### აბაშა

რაიონის მოსწავლე მძლეოსანთა შეჯიბრებაში საშუალო და რვაწლიანი სკოლების 244 მოსწავლე მონაწილეობდა. ყველას აჯობეს ნაესაკოვის საშუალო და საგვაზავოს 8-წლიანი სკოლების გუნდებმა.

რ. ფანტურია.

# მანეთი... მძლეოსნობის წინააღმდეგ

## სარბენ ბილიკებს კლიტე ადევს

ქუთაისის „დინამოს“ სტადიონის შესასვლელთან გამოკრულია „საწვრთნელ ვარჯიშთა გრაფიკი 1967 წლის სექტემბრიდან 1968 წლის ივლისამდე“. სწორედ ამ გრაფიკის მიხედვით ირკვევა, რომ სტადიონზე ერთდროულად 200-250 სპორტსმენი იყრის თავს. აქ დარბიან, ვარჯიშობენ ხტომაში, ტყორცნაში და... ფეხბურთს თამაშობენ. დიახ, ფეხბურთელები და მძლეოსნები როგორღაც ახერხებენ ერთდროულად ვარჯიშს. ოღონდ ეგ არის მძლეოსნები იძულებული არიან იცადონ, ვიდრე ფეხბურთელები თამაშს მეორე ნახევარზე გადაიტანენ. აი, მაშინ თუ შეძლებენ ბადროსა და შუბის ტყორცნას (თუმცა ბევრჯერ იარაღი ასფალტზე ეცემა და ზიანდება). გარდა ამისა, მართალია, სარბენი ბილიკები პირდაპირზე საკმაო რაოდენობითაა, მაგრამ მოსახვევში მათი რიცხვი ორამდე მცირდება. ამის გამო წვრთნისა და შეჯიბრებების დროს ბილიკის ამ მონაკვეთზე სპორტსმენთა „რიგი“ დგება. მონაწილენი ხშირად იძულებული არიან ტემპი შეცვალონ. საკმარი რაოდენობით არც ინვენტარი აქვთ: წამზომები, შუბები, უროები, ჰოკები, სარბენი ბილიკების დასახაზი მანქანები. უროს მაგიერ მტყორცნელები ზოგჯერ ვარჯიშობენ... ქვებით.

ქუთაისში არის მეორე, უფრო კეთილმოწყობილი ბაზა, რომელსაც ცენტრალურ სტადიონს ეძახიან. მაგრამ ამ ბაზის კარი მხოლოდ ფეხბურთელებისთვისაა ღია. აქ ასე ამბობენ: ვისაც ჩვენი სტადიონით სარგებლობა სურს, ფეხბურთს უნდა დაუმეგობრდეს, ან ზოგადგამაჯანსაღებელ ჯგუფში ჩაეწეროს. რაც შეეხება მძლეოსნობას, ინვენტარის შესაძენად 7000 მანეთია საჭირო, ფულს კი არავინ იძლევა და დიდ დაინტერესებას მაინცდამაინც არც ჩვენ ვიჩენთ, ვინაიდან ქალაქის სპორტსაზოგადოებებსა და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ბაზების ამორტიზაციისთვის სახსრები არ გააჩნიათო.

რაღა გასაკვირია, რომ ქუთაისის სპორტსმენები რესპუბლიკურ ტურნირებში წარუმატებლად გამოდიან.

## სხვისი ზურგი ცუდი ფარია

თუ ქუთაისელი მძლეოსნები უხეირო ბაზებისა და სპორტული ინვენტარის ნაკლებობის მიუხედავად მაინც აღწევენ რაიმე წარმატებას ზოგიერთ სახეობაში, ამაში პირველ ყოვლისა წვლილი მიუძღვით საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს, ვეტერან ე. ალიშანოვსა და მის ახალგაზრდა კოლეგებს დ. ეფრემაშვილს, გ. ცხვედიანს, გ. გერსამიას. მათი ზრუნვითაა, რომ საქართველოს ნაკრებში ქუთაისის წარმომადგენელი 4 მოზრდილი და 12 ჭაბუკი სპორტსმენი შედის. ალიშანოვის მოწადინებით გაითქვა სახელი სპორტის ოსტატმა ი. კოზელსკიმ — სსრ კავშირის ნაკრების წევრმა. ალიშანოვის აღზრდილია იუნიორთა საკავშირო ნაკრების წევრი ა. მოშიაშვილიც. ქუთაისში აღიზარდნენ სპორტის ოსტატები გ. სტარიჩკოვი, ი. ჩირიკაშვილი, რესპუბლიკის ნაკრების წევრი ჯ. ჩუბინიძე და სხვ. ესე იგი, ქუთაისში კარგი მძლეოსნების აღზრდა შესაძლებელი ყოფილა. ახლა პირობებიც რომ იყოს!

ქუთაისელი მძლეოსნები არც ზამთარში არიან განებივრებულნი, ხან ერთ სკოლას აფარებენ თავს, ხან მეორეს. შეუწყნარებლად გაჭიანურდა მძლეოსნური მანეჟის (124×1130 მ) [illegible]. ეს საქმე [illegible] ჩაუქოლდებოდა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსს ლ. ვარდოსანიძეს რომ არ გამოეჩინა ზრუნვა.

ბაზები არც სპორტსკოლის აღზრდილებს გადასდით თავზე. ზოგიერთი მწვრთნელი მეტისმეტად ცუდად მუშაობს. სხვების ზურგს ამოფარებულ გ. მანაგაძეს და გ. ონიანს 8-წლიან სკოლა-ინტერნატში მძლეოსნობის 4 ჯგუფი აბარიათ, მაგრამ სპორტსკოლის ნაკრებს შევსებას ვერ აძლევენ. მათ ვერ შეძლეს ბავშვების დაინტერესება, რამაც ნორჩი მძლეოსნების დენადობა გამოიწვია. ამგვარი „ექსპერიმენტები“ კი ხუთი წელია გრძელდება.

მძლეოსნების საქმე ცუდადაა „განთიადის“ 16-ათასიან ფიზკულტურულ კოლექტივებშიც. ამ საზოგადოებას ხელფასზე მომუშავე ერთი მწვრთნელიც კი არ ჰყავს. უხეირო შედეგიც თვალსაჩინოა: საზოგადოების ფიზკულტურულ კოლექტივებში მხოლოდ 486 მძლეოსანია გაერთიანებული.

ცოტა უკეთესი მდგომარეობა „სპარტაკში“. ამ საზოგადოებაში ორჯერ მეტი მძლეოსანი შედის, ხელფასზე მომუშავე მწვრთნელებიც ჰყავთ, მაღალი შედეგებით კი ვერც ისინი დაიკვეხნიან. ერთადერთი გ. ცხვედიანი მუშაობს ნაყოფიერად. „სპარტაკში“ აღზრდილი 24 მეორეთანრიგოსნიდან 17-მა ეს ნორმატივი კროსში შეასრულა. ამასთან, შეასრულა, ასე ვთქვათ შინაურულ შეჯიბრებებში, სადაც, როგორც გაგვანდეს, მწვრთნელებს წამზომები „დაეხმარნენ“.

თანრიგოსანთა მომზადების მხრივ ანალოგიური სურათია „დინამოში“, რომელსაც საკუთარი სტადიონი აქვს, მძლეოსანი კი მხოლოდ 170 ჰყავს.

მდგომარეობა უკეთ არც პედინსტიტუტშია. ქალაქის ნაკრების მხოლოდ 2 წევრი—ასეთია მისი წვლილი. და ეს მაშინ, როცა ინსტიტუტის 1000-მდე სტუდენტიდან 895 ფიზკულტურელია. საქმე ისაა, რომ მწვრთნელებს ნ. წერეთელსა და ა. კოვზირიძეს მუშაობის არც პირობები აქვთ და არც ხალისი.

ვ. ბუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

# „განთიადი“ — საშიში მეტოქე

საქართველოს სპორტკავშირის თასის მორიგი გათამაშება ცურვაში ამას წინათ ბათუმის აუზში გაიმართა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „განთიადის“, „ბურევესტნიკის“, „შრომითი რეზერვების“, „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ გუნდები. ტურნირის ორგანიზატორებმა სპორტსმენთა წახალისების მიზნით დააწესეს: სპორტის კანდიდატის ნორმატივის შესრულებისთვის 4 პრემიალური ქულა, ოსტატისა — 8, რესპუბლიკური რეკორდის გაუმჯობესებისთვის — 16. ამან კარგი ნაყოფიც გამოიღო: ხამმა სპორტსმენმა აჩვენა ოსტატის, ოცმა — ოსტატობის კანდიდატის და ორმოცდაექვსმა — I თანრიგის შედეგები. დამყარდა საქართველოს 2 რეკორდი, გაუმჯობესდა ჭაბუკთა 2 რესპუბლიკური მიღწევა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის დინამოელმა ა. იოაკიმიდიმ და ქუთაისის „განთიადის“ წარმომადგენელმა ი. ზოტოვამ. იოაკიმიდიმ რეკორდი გააუმჯობესა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში, როცა წინასწარი შეჯიბრებისას 2.19,9 აჩვენა (ეს 2,2 წამით სჯობს მისსავე ძველ მიღწევას). იოაკიმიდი 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ბრძოლაშიც უძლიერესი იყო. ამასთან, სპორტის ოსტატის შედეგს 19,6 წამით გადააჭარბა.

ზოტოვამ იერიში მიიტანა ლ. ოსიპოვას რესპუბლიკურ რეკორდზე 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში და მიზანსაც მიაღწია. მისი შედეგი (1.07,3) ძველ რეკორდს 0,8 წამით სჯობს. ზოტოვამ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

მოწონება დაიმსახურეს „შრომითი რეზერვების“ გუნდის წევრებმა ჯ. ჩაბაკაურმა და ვ. ონუფრიენკომ. პირველმა მოიგო 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვა, ამასთან, 100 მეტრზე პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. კომბინირებული ესტაფეტის (4×100 მ) პირველ ეტაპზე იგი გულაღმა ცურვაში გამოდიოდა და ჭაბუკთა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 1.07,8. ეს მაჩვენებელი მხოლოდ 0,6 წამით ჩამორჩება ბ. კამენსკის რესპუბლიკურ რეკორდს.

ონუფრიენკომ მოიგო 400 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრება და მეორე იყო 200 მეტრზე ამავე სტილით ცურვაში, სადაც პირველად შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი და ჭაბუკთა ახალი რესპუბლიკური რეკორდიც დაამყარა — 2.12,9. ოსტატობის კანდიდატის ნორმა პირველად შეასრულეს მისმა თანაგუნდელმა ა. გურასაშვილმა (200 მეტრზე ბრასით—2.45,0) და დინამოელმა ვ. ჭარბაძემ (200 მეტრზე ბატერფლაით — 2.27,0).

ბათუმის „განთიადის“ წარმომადგენლებმა მ. გორბუნოვამ, ნ. ზემლიანუხინმა და გ. აბრამიანმა აჭარის ახალი რეკორდები დაამყარეს შესაბამისად 100 მეტრზე ბატერფლაით (1.20,4), 400 მეტრზე თავისუფალი სტილით (4.53,7) და 200 მეტრზე კომპლექსურ (2.45,0) ცურვაში.

რაც შეეხება გუნდურ ჩათვლას, ბოლო შეჯიბრებებში „განთიადი“ თანდათან ავიწროებს „დინამოს“. ამ ტურნირში იგი სამ დღეს ლიდერობდა და მხოლოდ ფინიშზე დათმო პირველობა. ამრიგად, გაიმარჯვა „დინამომ“ (848 ქულა) და თასიც დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდა „განთიადი“ (795,5), III — „სპარტაკი“ — 566.

200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მონაწილე გოგონათა რიცხვი მეტად მცირე იყო, შედეგები კი II თანრიგს არ გასცილებია. ამ მხრივ ყველაზე ცუდად აქვს საქმე „შრომით რეზერვებს“. ამ საზოგადოების წარმომადგენელ გოგონათა უმეტესობა უთანრიგოდ დარჩა. 100 მეტრზე ბატერფლაით მოცურავე ნ. ჯამუყაშვილმა 1.59,1 ძლივს აჩვენა, ქ. ბერიშვილმა კი... 2.58,1. რ. სიდოროვამ თავისუფალი სტილით 800 მეტრის გაცურვას 16.15,5 მოანდომა. მეტისმეტად სუსტი გუნდი გამოიყვანა „ლოკომოტივმა“, რომლის სპორტსმენებმაც 90,5 ქულა ძლივს დააგროვეს და სატურნირო ცხრილს ბოლოში მოექცნენ.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.





## შეჯიბრების ტექნიკური შედეგები

**ქალები.** თავისუფალი სტილი. **100 მ.** ი. ზოტოვა — 1.07,3, მ. მიქაელიანი — 1.11,5, ი. ოვჩინიკოვა (ორივე — „განთიადი“) — 1.13,5; **200 მ.** ზოტოვა — 2.33,0, მიქაელიანი — 2.41,0, ლ. ბურკინა („სპარტაკი“) — 2.48,9; **400 მ.** ზოტოვა — 5.24,5, ბურკინა — 6.10,7, ი. ჩამურლიევა („სპარტაკი“) — 6.16,6; **800 მ.** ო. ვილკოვა („სპარტაკი“) — 12.38,5, ვ. კორნიენკო — 12.45,6, ს. კოტოვა (ორივე — „დინამო“) — 12.47,5; **ბრასი. 100 მ.** ვ. სედიაკოვა („სპარტაკი“) — 1.25,9, მ. ზამბახიძე — 1.26,8, ვ. ანიკინა (ორივე — „დინამო“) — 1.28,0; **200 მ.** სედიაკოვა — 3.04,3, ნ. გლეჩნიკოვა — 3.06,4, ზამბახიძე — 3.10,9; **ბატერფლაი. 100 მ.** ნ. ქიგალიოვა („დინამო“) — 1.16,8, მ. გორბუნოვა („სპარტაკი“) — 1.20,4, რ. გოჩიტაშვილი („ლოკომოტივი“) — 1.22,0; **200 მ.** ქიგალიოვა—2.59,7, ნ. სტრუნინა („სპარტაკი“) — 3.14,4, ნ. დავთიანი („განთიადი“) — 3.14,6; **გულაღმა. 100 მ.** ნ. ჭუმბაძე—1.17,6, ტ. ისტრებინსკაია (ორივე — „დინამო“)— 1.25,8, ნ. გამზინა („განთიადი“) — 1.27,4; **200 მ.** ჭუმბაძე — 2.50,5, ტ. შელესტი („სპარტაკი“)—2.53,9, გამზინა — 2.54,6; **კომპლექსური. 200 მ.** შელესტი — 2.56,4, ი. ჩუგუევსკაია („სპარტაკი“) — 2.56,7, ოვჩინიკოვა — 3.01,2; **400 მ.** ჩუგუევსკაია — 6.23,0, ი. ეფიმოვა — („განთიადი“) — 6.29,1, ვ. ბახი („დინამო“) — 6.35,4; **ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით.** „განთიადი“ — 4.49,6, „დინამო“ — 5.08,0, „სპარტაკი“ — 5.13,4; **კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ.** „დინამო“ — 5.19,7, „სპარტაკი“— 5.33,6, „განთიადი“ — 5.43,7.

**ვაჟები.** თავისუფალი სტილი. **100 მ.** ა. არტამონოვი — 58,5, ნ. პოგორელოვი (ორივე — „განთიადი“) — 1 წუთი, გ. ბოლქვაძე („სპარტაკი“) — 1.00,8; **200 მ.** არტამონოვი — 2.11,3, ვ. ონუფრიენკო („შრომითი რეზერვები“) — 2.12,9, ს. კრავცოვი („სპარტაკი“)— 2.15,8; **400 მ.** ონუფრიენკო—4.50,0, ზემლიანუხინი („განთიადი“) — 4.53,7, ჭარბაძე („დინამო“) — 4.56,0; **1500 მ.** იოაკიმიდი—18.20,4, ზემლიანუხინი — 19.49,3, ვ. ბუდიაკი („განთიადი“) — 20.00,0; **ბრასი. 100 მ.** ი. კირდიანოვი („დინამო“) — 1.15,0, გურასაშვილი („შრომითი რეზერვები“) — 1.17,4, ა. ფეოკტისტოვი („განთიადი“) — 1.17,5; **200 მ.** კირდიანოვი—2.43,6, გურასაშვილი — 2.45,0, ფეოკტისტოვი — 2.51,7; **გულაღმა. 100 მ.** ჯ. ჩაბაკაური („შრომითი რეზერვები“) — 1.08,0, გ. კასატკინი („დინამო“) — 1.09,6, ლ. ფროლოვი („განთიადი“) — 1.09,7; **200 მ.** ჩაბაკაური — 2.30,6, ფროლოვი — 2.34,5, კასატკინი — 2.37,6; **ბატერფლაი. 100 მ.** ჰ. შიხიკიანი („დინამო“) — 1.05,1, ლ. მამყოიანი („განთიადი“) — 1.07,2, მ. ცქიტიშვილი („სპარტაკი“) — 1.07,7; **200 მ.** იოაკიმიდი („დინამო“) — 2.26,3, ჭარბაძე — 2.27,0, მამყოიანი — 2.34,4; **კომპლექსური. 200 მ.** შიხიკიანი — 2.26,4, პოგორელოვი — 2.28,5, ნ. სიდელნიკოვი („განთიადი“) — 2.35,7; **400 მ.** კრავცოვი — 5.24,2, ა. ხეხტოიანი („დინამო“) — 5.30,1, ონუფრიენკო — 5.37,5; **ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით.** „განთიადი“ — 4.03,6, „სპარტაკი“ — 4.09,9, „შრომითი რეზერვები“— 4.17,5; **ესტაფეტა 4×200 მ თავისუფალი სტილით.** „დინამო“ — 9.22,0, „განთიადი“ — 9.34,6, „სპარტაკი“ — 10.05,6; **კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ.** „დინამო“ — 4.31,0, „შრომითი რეზერვები“ — 4.34,8, „განთიადი“ — 4.37,8.

* * *

სურათებზე: ი. ზოტოვა და ჯ. ჩაბაკაური შეჯიბრების შემდეგ; ა. იოაკიმიდი ხარეკორდო გაცურვის დროს.

ფოტო ავტორისა.

## სარბიელზე არიან მედიკები

თბილისში დამთავრდა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის V სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფკავშირთა რაიკომების (18), ქიმიური ქარხნისა და ვაქცინის ინსტიტუტის გუნდები.

პროგრამაში იყო ჭადრაკი, ტყვიის სროლა, მძლეოსნობა, ფრენბურთი და მაგიდის ჩოგბურთი.

ფრენბურთელთა და მძლეოსანთა შეჯიბრებაში ყველას აჯობეს კალინინის რაიონის სპორტსმენებმა. მაგიდის ჩოგბურთში იმარჯვა ოქტომბრის რაიონის ნაკრებმა, ჭადრაკში — სამტრედიის, სროლაში— ქუთაისის წარმომადგენლებმა.

საერთო გუნდური პირველობა წილად ხვდა თბილისის ლენინის რაიონის კოლექტივს.

ბ. ჩხიკვაძე.

## ორ იუბილეს მივუძღვენით

კომკავშირის 50 და „შრომითი რეზერვების“ 25 წლისთავს მიეძღვნა თბილისის 32-ე პროფტექსასწავლებლის ველოსიპედისტთა ლაშქრობა: თბილისი — გორი — სურამი — ქუთაისი — სამტრედია — ბათუმი — ფოთი — სოხუმი — ნოჯიხევი — თბილისი. სპორტსმენებმა გზაში დაჰყვეს 11 დღე. ასპარეზობაში 16 მოსწავლე მონაწილეობდა.

წემოჩამოთვლილ პუნქტებში მოვაწყვეთ შეხვედრები ადგილობრივი პროფტექნიკური სასწავლებლების აღსაზრდელებთან, გავმართეთ საუბრები ლენინური კომკავშირისა და „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენთა მიღწევებზე, 8 სასწავლებელს გადავეცით სამახსოვრო ვიმპელები.

ლონისძიების ორგანიზებულად გამართვაში დიდად დაგვეხმარნენ საქართველოს პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტი და „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭო.

ტ. ვაჭარაძე,
სასწავლებლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი



# უძლიერესნი — თამაშგარე მდგომარეობაში

ვინ იფიქრებდა, რომ სსრ კავშირის თასის გათამაშების ერთი დღის მატჩებში, — 23 ივლისს უძლიერესნი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ! პირველი, ვინც განიცადა მარცხის სიმწარე, იყო ამ პრიზის შარშანდელი მფლობელი — მოსკოვის „დინამო". მისი ბედი გაიზიარა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმაც — კიევის „დინამომ". საერთოდ, ამ დღეს დინამოელებს აშკარად არ წყალობდათ ბედი და მომავალი თამაშები თასზე უმათოდ ჩაივლის.

მოსკოვის „დინამო" ალმა-ათაში ეთამაშებოდა ადგილობრივ „კაირატს". ანგარიში 35-ე წუთზე გახსნეს მასპინძლებმა (აბგოლცი). საპასუხო ბურთი გაიტანა ლარინმა, რომელმაც შეცვალა მცველი რიაბოვი. მაგრამ 89-ე წუთზე ვოლოხმა დააწინაურა „კაირატი": მოატყუა მცველი ივანოვი და მეკარე იაშინი — 2:1.

სსრ კავშირის ჩემპიონმა დონეცკში წააგო. ამ მატჩის ერთადერთი გოლი დასაწყისშივე გაიტანა ახალგაზრდა იარემჩენკომ. საინტერესოა იმის გაცხვას, რომ „შახტიორმა" კიევის „დინამოს" წინააღმდეგ მინდორზე გამოიყვანა სათადარიგო შემადგენლობის ერთბაშად 5 ახალგაზრდა მოთამაშე.

მინსკის „დინამომ" შინ განიცადა მარცხი ლუგანსკის „ზარიასთან" შეხვედრაში. ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა ლიტვინოვმა, ხოლო შესვენების შემდეგ მელეშკომ დაასრულა მინსკელთა დამარცხების საქმე — 2:0.

ტაშკენტის „პახტაკორმა" მინიმალური ანგარიშით მოუგო სარატოვის „სოკოლს". ეს გოლი აბდურაიმოვის გადაცემიდან გაიტანა ჟილენკომ —1:0.

კიევის არმიელთა გუნდმა საკუთარ მინდორზე მიიღო კემეროვოს „კუზბასი" და დაამარცხა იგი ანგარიშით 5:2. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს შტულერმა (2), ვერიგინმა, ბოგოდელოვმა, პესტრიკოვმა, ხოლო „კუზბასის" მხრივ — პოლუიანოვმა (2).

ბაქოს „ნეფტჩიმ" ამ დღეს მიიღო აშხაბადის „სტროიტელი" და საკმაოდ იოლ გამარჯვებას მიაღწია — 3:0. პირველი 2 ბურთი გაიტანა მარქაროვმა, ხოლო მესამე — სტეკოლნიკოვმა.

თბილისის „დინამო" სვერდლოვსკში შეხვდა ადგილობრივ „ურალმაშს". დინამოელებმა ძალზე ცუდად ითამაშეს. მთელი მატჩის მსვლელობაში პასიურად მოქმედებდა თავდასხმა, ხოლო დაცვაში დაშვებული შეცდომა კარგად გამოიყენა „ურალმაშის" ფორვარდმა ეპიშინმა: 56-ე წუთზე მან შეძლო ბურთის გატანა დინამოელთა კარში.

მატჩისთვის დაწესებული დრო და დამატებითი 30 წუთი საკმარისი არ გამოდგა მოსკოვის „ტორპედოსა" და ცსკა-ს შორის გამარჯვებულის გამოსავლენად. ტორპედოელები წინ იყვნენ — 2:0 (სტრელცოვი, ლენიოვი), მაგრამ არმიელებმა გაქვითეს ორივე გოლი (ადამოვი, პოლიკარპოვი).

გუშინ „ტორპედო" და ცსკა კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. გამარჯვება წილად ხვდათ ტორპედოელებს — 2:1.

ამრიგად, მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: „პახტაკორი" (ტაშკენტი) — „ზარია" (ლუგანსკი), ასკ (კიევი) — „შახტიორი" (დონეცკი), „კაირატი" (ალმა-ათა) — „ნეფტჩი" (ბაქო), „ტორპედო" (მოსკოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი).

# ტრადიციის ერთგულნი

**ივლისის პირველ ნახევარში ბათუმი ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს ფალავნებს მასპინძლობდა. აქ ჩატარდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ვბეჭდავთ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტების წერილებს ამ ტურნირების შესახებ.**

## თბილისის ნაკრები კვლავ პირველია

„კლასიკოსთა" რესპუბლიკურ ფორუმში მონაწილეობა მიიღო თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ზესტაფონის 90-მდე ათლეტმა. ბათუმის სპორტის მოყვარულები საინტერესო და დაძაბული ბრძოლის მოწმენი გახდნენ.

გუნდურ ჩათვლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა არავის დაუთმო თბილისის ძლიერმა კოლექტივმა. მომდევნო ადგილები დაისაკუთრეს აჭარისა და აფხაზეთის გუნდებმა.

უმჩატეს წონაში სხვებზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა თბილისელი მირზოიანი, რომელმაც ფინალში წმინდად მოუგო თანაგუნდელ ჯაოშვილს.

მთელი ტურნირი თანაბარი სიძლიერით ჩაატარეს მჩატე და ქვემსუბუქი წონის ფავორიტებმა მეგრელიშვილმა და ტატიშვილმა. მათი გამარჯვება მათივე მაღალი ოსტატობის ლოგიკური შედეგი იყო, ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონობა ღირსეულებს ხვდათ.

კიდევ უფრო დამაჯერებელი იყო სსრ კავშირის ნაკრების წევრის სირბილაძის წარმატება. მან თავის მთავარ მეტოქეებს თურმანიძესა და სანაძეს იოტის ოდენა იმედიც არ დაუტოვა და თავიდანვე II საპრიზო ადგილისთვის საბრძოლველად განაწყო.

ქვესაშუალო წონაში პირველად ცდიდა ძალას ამ წერილის ავტორი. დებიუტი არც ისე ურიგო გამოდგა — ამის დასტურია I ადგილი და რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება.

მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის ხანდოლიშვილის გამოსვლამ საშუალო წონაში. მის ყოველ ბრძოლას, აღსავსეს გონებამახვილური და მრავალფეროვანი ილეთებით, მაყურებელი მხიარული შეძახილებითა და ტაშით აჯილდოებდა. ფავორიტმა ყველა შეხვედრა მოიგო და ბათუმელებს სასიამოვნო მოგონება დაუტოვა.

ქვემძიმე და მძიმე წონებში იოლად გაიმარჯვეს კურტანიძემ და ლუდუშაურმა. ისინი აშკარად სჯობდნენ მეტოქეებს, ამიტომ აღნიშნულ წონებში მთავარი ბრძოლა მომდევნო საპრიზო ადგილებისთვის გაჩაღდა.

ტ. ფილიშვილი,
სპორტის ოსტატი.

### ტექნიკური შედეგები

**უმჩატესი.** 1. ა. მირზოიანი, 2. თ. ჯაოშვილი, 3. გ. სიპკოვი (სამივე — თბილისი).

**მჩატე.** 1. დ. მეგრელიშვილი (თბილისი), 2. ვ. ჩხარტიშვილი (აჭარა), 3. ტ. ჯიოშვილი (რუსთავი).

**ქვემსუბუქი.** 1. ო. ტატიშვილი (თბილისი), 2. ჯ. რობაქიძე (გორი), 3. გ. შალამბერიძე (აჭარა).

**მსუბუქი.** 1. თ. სირბილაძე (თბილისი), 2. ლ. თურმანიძე (აჭარა), 3. შ. სანაძე (თბილისი).

**ქვესაშუალო.** 1. ტ. ფილიშვილი (თბილისი), 2. დ. ქინქლაძე (ბათუმი), 3. რ. მაჩკალიანი (აფხაზეთი).

**საშუალო.** 1. ვ. ხანდოლიშვილი (თბილისი), 2. კ. დოლრაშვილი (აფხაზეთი), 3. ბ. მიქელაძე (აჭარა).

**ქვემძიმე.** 1. ა. კურტანიძე (თბილისი), 2. რ. ფიჩხაძე (აფხაზეთი), 3. ო. მემნიშვილი (ზესტაფონი).

**მძიმე.** 1. ე. ლუდუშაური (თბილისი), 2. ო. ყაჭეიშვილი (აჭარა), 3. შ. ჯანელიძე (ქუთაისი).

## ოცდაოთხიდან 15 საპრიზო ადგილი

საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში წარმომადგენლობის მხრივ საკმარისად მრავალფეროვანი იყო. ჩემპიონის სახელისთვის იბრძოდნენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების უძლიერესი ათლეტები, რომელთა შორის ბევრმა მაღალი ოსტატობა გამოავლინა.

პრიზიორთა შორის, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ყველაზე უხვად თბილისია წარმოდგენილი. ჩვენი დედაქალაქის ათლეტებმა 15 საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. დანარჩენი 9 ადგილი განაწილდა აჭარის (4 პრიზიორი), ქუთაისის (2), ზესტაფონის, გორისა და აფხაზეთის (თითო) გუნდებს შორის. თბილისელებმა მოიპოვეს ყველაზე მეტი I ადგილი — 7. მხოლოდ ქვემძიმე წონაში დათმეს მათ ჩემპიონის წოდება.

სამდღიანი ასპარეზობის შემდეგ ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. აჭარა, 3. აფხაზეთი, 4. გორი, 5. რუსთავი.

უმჩატეს წონაში ჩემპიონობის საკითხი ფაქტიურად პირველივე წრეში გადაწყდა: თბილისელმა მიქელაძემ ქულებით სძლია თანაგუნდელ ქელეხსაშვილს და სტარტზევე ჩამოიცილა ყველაზე საშიში მეტოქე. ფინალში ქელეხსაშვილმა ასევე ქულებით მოუგო აჭარის გუნდის წარმომადგენელს აფხაზავას და II საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

მჩატე და ქვემსუბუქ წონებში ჩემპიონის ვინაობა ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე იყო ცნობილი. ისეთი რა უნდა მომხდარიყო, რომ ალიბეგაშვილს ან ყვარელაშვილს პირველი ადგილები დაეთმოთ? მართალია, ახალგაზრდა მეტოქეებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს სახელმოხვეჭილ ოსტატებს, მაგრამ განზრახვაზე ხელი მაინც ვერ აალებინეს. ალიბეგაშვილიცა და ყვარელაშვილიც ჩემპიონები გახდნენ.

მსუბუქი წონის ფინალისტებმა სარბიელზე მხოლოდ 2 წუთს დაჰყვეს. „ელვისებური" ბრძოლის ინიციატორი თბილისელი მენთეშაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც მე-3 წუთის დასაწყისში ზესტაფონელი გორგაძე ხალიჩას გააკრა.

3 წმინდა მოგება, ერთი აშკარა უპირატესობით და სამიც — ქულებით — ასეთი შედეგი საკმარისი აღმოჩნდა ქვესაშუალო წონაში გამარჯვებისთვის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ჩემპიონის სახელისთვის 18 ათლეტი იბრძოდა, თბილისელი გოგოლაძის წარმატება კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება.

საშუალო წონაში ჩემპიონია თბილისელი პაპაშვილი, რომელიც ფინალში ორივე პრიზიორს შეხვდა. ბათუმელ ბეჟანიძეს მან წმინდად მოუგო, ხოლო თანაგუნდელ თბილელთან ჭიდილი ფრედ დაამთავრა.

ერთადერთი წონა, სადაც თბილისელ მოჭიდავეთა ჰეგემონია დაირღვა, ქვემძიმე გახლდათ: ქუთაისელებმა მოსეშვილმა და ჭანკვეტაძემ III ადგილზე წინ არ გაუშვეს თბილისის გუნდის წევრი გობეჯიშვილი და ოქრო და ვერცხლი თვითონ გაინაწილეს. ჩემპიონი გახდა მოსეშვილი.

მძიმე წონის ფავორიტებმა მოდებაძემ და გზირიშვილმა ბრძოლა ფრედ დაამთავრეს. გამარჯვების საკითხი გადაწყვიტა სხვა შეხვედრების შედეგებმა, რის მიხედვითაც უპირატესობა მოდებაძეს მიეკუთვნა.

ნ. ახვლედიანი.

### ტექნიკური შედეგები

**უმჩატესი წონა.** 1. თ. მიქელაძე, 2. ო. ქელეხსაშვილი (ორივე — თბილისი), 3. დ. აფხაზავა (აჭარა).

**მჩატე.** 1. ტ. ალიბეგაშვილი (თბილისი), 2. რ. დობორჯგინიძე (აჭარა), 3. სალნიკოვი (თბილისი).

**ქვემსუბუქი.** 1. გ. ყვარელაშვილი, 2. გ. დგებუაძე, 3. გ. ლაბაური (სამივე — თბილისი).

**მსუბუქი.** 1. ე. მენთეშაშვილი (თბილისი), 2. ე. გორგაძე (ზესტაფონი), 3. ი. ბოლოთაევი (გორი).

**ქვესაშუალო.** 1. თ. გოგოლაძე (თბილისი), 2. მ. გოგავა (აფხაზეთი), 3. რ. მარსაგიშვილი (თბილისი).

**საშუალო.** 1. ზ. პაპაშვილი, 2. მ. თბილელი (ორივე — თბილისი), 3. ნ. ბეჟანიძე (აჭარა).

**ქვემძიმე.** 1. რ. მოსეშვილი, 2. რ. ჭანკვეტაძე (ორივე — ქუთაისი), 3. ზ. გობეჯიშვილი (თბილისი).

**მძიმე.** 1. ნ. მოდებაძე, 2. გ. გზირიშვილი (ორივე — თბილისი), 3. ბ. ლოლნაძე (აჭარა).

# მასპინძლებმა იმარჯვეს

სოხუმში დამთავრდა საქართველოს დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის პირად-გუნდური ჩემპიონატი საზღვაო მრავალჭიდში. ტურნირში თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის გუნდები მონაწილეობდნენ, ვაჟები, ქალები, იუნიორები და მოზარდები ცალ-ცალკე ასპარეზობდნენ. პროგრამაში იყო ცურვა, სროლა, კროსი, ნიჩბოსნობა და აფროსნობა.

ბოლო ორ ჩემპიონატში აფხაზეთის სპორტსმენებს თბილისელებმა აჯობეს. და აი, ახლა მასპინძლებმა დაიბრუნეს უძლიერესის სახელი. საერთო II ადგილზე გავიდა თბილისის გუნდი, III — აჭარის კოლექტივი. პირად შეჯიბრებაში ჩემპიონები გახდნენ ვ. გავრინი (თბილისი), ნ. მიშუკოვა, ი. ლეიკამი და პ. გროზნიხი (ყველა — აფხაზეთი).

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ შედგა რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც საკავშირო ტურნირში იასპარეზებს.

ვ. სემიონოვი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

* * *

სურათებზე: შეჯიბრების მომენტები.

ფოტო ავტორისა.

# თასი... ცეცხლგამძლე ყუთში

სოხუმის თეატრის ფიზკულტურულ კოლექტივს კარგი ტრადიცია ჰქონდა: ჰყავდა ფეხბურთის, კალათბურთის, ცურვის, ტყვიის სროლის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის და შაშის გუნდები. ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. გვალია პროფკავშირული ორგანიზაციის დახმარებით ხშირად აწყობდა ტურნირებს. მსახიობთა კოლექტივი ქალაქში ტოლს არავის უდებდა, კულტურის მუშაკთა საქალაქო სპარტაკიადაში კი თასიც დაისაკუთრა.

სპორტი მსახიობებს შემოქმედებით მუშაობაშიც ეხმარებოდა, მაგრამ ეს ოდესღაც იყო, ახლა ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობა შეწყდა იმიტომ, რომ მას დახმარებას აღარ უწევენ თეატრის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, აღარც „სპარტაკის" საქალაქო საბჭოს წარმომადგენლები იწუხებენ თავს. გუნდები დაიშალა, არ ეწყობა ტურნირები, ერთ დროს მოპოვებული თასი კი ჩაკეტილია... ცეცხლგამძლე ყუთში.

ნ. მიქაშავიძე,
თეატრის მსახიობი.







# განსაკუთრებული ჩემპიონი

გორკი, 23 ივლისი. ტანვარჯიშულ შეჯიბრებაში გამოვლინდა პირველი ჩემპიონი. საკავშირო ასპარეზობაში გოგონებს შორის გაიმარჯვა ვიტებსკის 22-ე სკოლის მერვეკლასელმა თ. ლაზოკოვიჩმა.

უფროსი ასაკის გოგონათა შეჯიბრებაში ოსტატთა პროგრამით იგი ვადაზე ადრე დაუშვეს, როგორც გამონაკლისი. ლაზოკოვიჩი ბ. დმიტრიევის აღზრდილია, რომელმაც უკვე მოუმზადა საბჭოთა ოლიმპიურ გუნდს ლ. პეტრიკი. მისმა მეორე აღზრდილმა ვადამდე მოიხვეჭა სპორტის ოსტატის წოდებაც. ეს პატარა გოგონა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალში გავიდა დვირზე ვარჯიშში. სამშაბათს გორკში მოპოვებული ბრწყინვალე წარმატების შემდეგ მწვრთნელმა მას მხოლოდ ხელი ჩამოართვა. ეს იყო და ეს. ახლა ლაზოკოვიჩმა კიდევ ბევრი უნდა იშრომოს, რომ თავისი მასწავლებლის უფრო დიდი ქება დაიმსახუროს. მაგრამ იგი მზადაა ამისთვის. თუ გორკის შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ლაზოკოვიჩი კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს დიდი წარმატებებით.

ვიტებსკელმა მოსწავლემ 75,35 ქულა მოაგროვა და ჩამოიტოვა პრიზიორები — დინამოელი ტ. შჩეგოლკოვა (72,75) და „ტრუდის" წარმომადგენელი ი. კრასნევიჩი (72,55), ჩამოიტოვა თითქმის 3 ქულით, რაც, რა თქმა უნდა, აგრეთვე, იშვიათია.

გუნდურ შეჯიბრებაში საუკეთესონი იყვნენ დინამოელი გოგონები.

ორშაბათსა და სამშაბათს ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში ყველაფერი „უკუღმა" დატრიალდა: დილიდან პატარა გოგონები დაეპატრონენ სარბიელს, უფროსი ასაკის ვაჟები კი „საღამოს სკოლაში" დადიოდნენ, — ასრულებდნენ სავალდებულო პროგრამას, რომელიც გამარჯვების საფუძველს შეადგენს. თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, საბჭოთა ოლიმპიელებმა მტკიცე საძირკველი ჩაუყარეს თავიანთ გამოსვლას მეხიკოში. შეჯიბრებაში მსოფლიო ჩემპიონი მ. ვორონინი არ მონაწილეობდა. ლიდერის როლი იკისრეს მოსკოველმა ს. დიომიდოვმა და ნაკრების ვეტერანმა ვ. ლისიცკიმ (მოსკოვის ოლქი). დიომიდოვი, რომელიც სულ ახლახან ვორონინის დონეზე იდგა, შემდეგ შედარებით წარუმატებლად გამოდიოდა. მით უფრო სასიამოვნოა, რომ იგი უკვე საბრძოლო ფორმაშია.

საინტერესოა, რომ დიომიდოვმა, რომელიც ქვეყნის თასის გათამაშებაში სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობდა, როგორც ქალთა ლიდერმა ლ. ტურიშჩევამ, თახჯერ მიიღო 9,8 ქულა. დიომიდოვს რგოლებზე 9,7 ჰქონდა, ძელზე — 9,6.

რგოლებზე პირველი იყო [illegible] სოშინი — 9,9 ქულა. სხვათა [illegible] მან ყველაზე უკეთ გააკეთა შესრულება. ჩვენი მოწინავე ოსტატები ამ ბოლო ხანს მეტისმეტად გაიტაცა ქანში ვარჯიშებმა და ყოველთვის ზუსტად ვეღარ ასრულებენ ამ ელემენტს, რომელიც ძალისმიერ მომზადებას მოითხოვს. აქ სოშინის გვერდით შეიძლებოდა დაგვეყენებინა დიომიდოვი და ლისიცკი. სულ ესაა. ხომ შეიძლება, რომ ოლიმპიადაზე მსაჯებმა ამას ყურადღება მიაქციონ?

თავისუფალ ვარჯიშში ყველას სჯობდა ვ. კლიმენკო —9,85 ქულა. ახალგაზრდა ტანმოვარჯიშემ ვ. ილინიხმა გაიმარჯვა ძელზე — 9,75. ელიტიდან თავის შესაძლებლობებზე ცუდად გამოვიდა მხოლოდ ვ. კარასიოვი: ტაიჭზე — 9,25 ქულა, ორძელზე — 9,05. საბოლოოდ მხოლოდ VIII ადგილი — 56,75.

პირველ ექვსეულში დიომიდოვთან ერთად შევიდნენ კლიმენკო — 58,35, ლისიცკი — 58,15, სოშინი — 57,5, ვ. მედვედევი — 57,45, ილინიხი — 57,4.

მოსკოვი. 13-21 ივლისი. სსრ კავშირის პირველობა ცხენოსნობაში.

დაბრკოლებათა გადალახვა: „გახსნის პრიზი"—1. ვ. ნენახოვი („სპარტაკი"), 2. ა. პურტოვი („უროჟაი" I), 3. ვ. იურკევიჩი („უროჟაი", ბელორუსია) — ყველა უჯარიმოდ; „ამორჩევით"—1. რ. მაკაროვი („ტრუდი"), 2. პურტოვი, 3. ვ. კონკოვი (ცსკა)—თვითეულს 156 ქულა; „ცენტრალური ხაბჭოს თასი" — 1. ვ. მატვეევი (ცსკა), 2. ვ. პოგანოვსკი („კოლგოსპნიკი"), 3. მ. მელქონიანი („სევანი") — ყველა უჯარიმოდ; გუნდური — 1. „სევანი", 2. „ტრუდი", 3. „დინამო" II; „ნახტომის სიმძლავრეზე"— 1. მატვეევი, 2. კონკოვი, 3. მაკაროვი; „უმაღლესი კლასი" — 1. ვ. სამოსედენკო („უროჟაი" I), 2. მატვეევი, 3. ვ. ლინდინი („დინამო" I) — თვითეულს 8 ქულა.

სამჭიდი: ახალგაზრდა ცხენებით — 1. ვ. ვოსკობოინიკოვი (ცსკა) — 16,39 საჯარიმო ქულა, 2. ვ. კალინინი („უროჟაი" I) — 18,85, 3. ვ. ბარაშკოვი („ბურევესტნიკი") — 25,30; გუნდური — 1. ცსკა, 2. „ბურევესტნიკი", 3. „ტრუდი"; უფროსი ასაკის ცხენებით — 1. ა. ევდოკიმოვი („უროჟაი" I) — 243 ქულა, 2. ს. გლუშკოვი — 237, 3. ბ. კონკოვი (ორივე — ცსკა) — 234. გუნდური — 1. ცსკა, 2. „სევანი", 3. „უროჟაი" II.

ცხენის გახედნა: „მცირე პრიზი"—1. ი. კალიტა (ცსკა) — 678 ქულა, 2. ს. ბროდსკი („ბურევესტნიკი") — 674, 3. ვ. პრიხოდკო (ცსკა)—662. „საშუალო პრიზი" — 1. ე. პეტუშკოვა („უროჟაი" I) — 689, 2. ბროდსკი — 686, 3. ნ. მიხაილოვი („ბურევესტნიკი")— 678; „დიდი პრიზი" — 1. ი. კიზიმოვი („ტრუდი") — 1677, 2. კალიტა — 1622, 3. ვ. კოპეიკინი (ცსკა) — 1612. გუნდური — 1. ცსკა, 2. „ტრუდი", 3. „უროჟაი" I.

საერთო გუნდური ჩათვლა: 1. ცსკა — 2601 ქულა, 2. „უროჟაი" I — 2476,5, 3. „ტრუდი" — 2386,5.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი „გახსნის პრიზზე" დაბრკოლებათა გადალახვაში ვ. ნენახოვი ასპარეზობისას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

# ყოველი მხრიდან

## ჩირაღდნით სილატაკის კვარტალებში

აშშ-ს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში სიხარულით შეხვდნენ ცნობას, რომ მოწინავე ზანგმა ათლეტებმა მონაწილეობა მიიღეს ლოს-ანჟელოსის წინაოლიმპიურ შესარჩევ შეჯიბრებებში. კომიტეტის პრეზიდენტმა დ. რობიმ იჩქარა განცხადება, რომ ახლა „ამერიკელი ზანგების მიერ მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ბოიკოტის საკითხი, ფაქტიურად, მოიხსნა დღის წესრიგიდან".

გაგახსენებთ, რომ ბ-ნმა რობიმ ეს განცხადება ერთხელ უკვე გააკეთა — მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შეცვალა თავისი სამარცხვინო გადაწყვეტილება ოლიმპიადაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მონაწილეობის თაობაზე. მაშინ პრეზიდენტი სავსებით შეგნებულად ცდილობდა ერთმანეთში აერია ორი მოძრაობა — ამერიკელი ზანგი სპორტსმენების ბრძოლა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში და მსოფლიოს ყველა პატიოსანი სპორტსმენის ბრძოლა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სეგრეგაციის წინააღმდეგ.

პირველად რობიმ უკან დაიხია, ვინაიდან გაახსენეს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება სულაც არ ცვლის ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგი სპორტსმენების გამოსვლების მიზეზებს და მათ მოთხოვნას ოლიმპიადის ბოიკოტის თაობაზე. პრეზიდენტის განზრახვა ამჯერადაც ჩაიფუშა.

აი, რა განაცხადა ამ დღეებში ამერიკელ ზანგთა საბოიკოტო მოძრაობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, სოციოლოგიის პროფესორმა ჰ. ედვარდსმა:

„ზანგი სპორტსმენები იყვნენ და იქნებიან თავიანთ ხალხთან ერთად. ჩვენ ვიცით, რომ ბევრმა ფერადკანიანმა ათლეტმა მიიღო მონაწილეობა ცნობილ ვაშინგტონის მარშში. ისინი სხვა ზანგებივით კარვების ქალაქში ცხოვრობდნენ და პოლიციას ებრძოდნენ. ზანგების დიდი ბრძოლა თავიანთი უფლებებისთვის გრძელდება, გრძელდება ბოიკოტისთვის ბრძოლაც".

შემდეგ ედვარდსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბოიკოტის ორგანიზატორებმა თავად გადაწყვიტეს ლოს-ანჟელოსის შესარჩევ შეჯიბრებებში ზანგი მძლეოსნების მონაწილეობის საკითხი. საქმე ისაა, რომ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ბევრი მოწინავე მოღვაწე უკვე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ე. ბრენდეჯს აჰყვა: ამბობდნენ, თამაშების ბოიკოტი მხოლოდ თავად ზანგ სპორტსმენებს მოუტანს ზიანს და ამერიკის გუნდის საერთო წარმატებაზე გავლენას ვერ მოახდენსო. ზანგი სპორტსმენები, — გვარწმუნებდნენ ისინი, — ისეთ ფორმაში არიან, რომ მათი უმეტესობა შესარჩევ ოლიმპიურ შეჯიბრებებშიც ვერ მიაღწევს წარმატებასო.

— ლოს-ანჟელოსისა და სხვა საკვალიფიკაციო გამოსვლებით, — ამბობს ედვარდსი, — ზანგი სპორტსმენები კიდევ ერთხელ გვიჩვენებენ თავიანთ ძალას, დაამტკიცებენ, რომ შეეძლოთ ბევრი მედალი მოეტანათ თავიანთი ქვეყნისთვის იმ შემთხვევაში, იგი რომ პატივს სცემდეს მათი ხალხის უფლებებსა და ღირსებას. ამის შემდეგ ბოიკოტი, რომლის შეცვლა ჩვენ არც გვიფიქრია, კიდევ უფრო ძლიერ და მოქმედ იარაღად იქცევა.

ედვარდსს მხარს უჭერს ღატაკთა ლაშქრობისა და თავიანთი უფლებებისთვის მებრძოლი ამერიკელი ზანგების ერთ-ერთი ბელადი, მღვდელი ჯ. ჯეკსონი. იგი აღნიშნავს, ზანგ სპორტსმენებს თვალს ვერ აუხვევს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შეთავაზებული იდეა, რომ მათ რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ყოველგვარი პროტესტის გარეშე ჩაიტანონ ოლიმპიური ჩირაღდანი ქვეყნის სამხრეთშიო.

— უმჯობესია ზანგმა სპორტსმენებმა მშვიდობის ჩირაღდანი აავიზგიზონ იმ რაიონებში, სადაც მათი თანამოძმენი იტანჯებიან სილატაკით, დისკრიმინაციითა და უუფლებობით, — ამბობს ჯეკსონი. — საუკეთესო ზანგი სპორტსმენები გადაჭრით მოითხოვენ ბრენდეჯისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის იმ მოღვაწეების გადადგომას, რომელთაც სისხლში რასიზმის ბაცილები შეჰპარვიათ".

## მინდვრიდან... ციხეში

საფრანგეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირმა გადაწყვიტა პოლიციისა და ხელისუფლების დახმარება გამოიყენოს, რათა აღკვეთოს სპორტსმენთა უხეშობა მინდორზე. კავშირის წარმომადგენლებმა დაადგინეს: ამიერიდან სპორტსმენი, რომელიც თავის კოლეგას ტრავმას მიაყენებს, სასამართლოს წინაშე წარსდგება.

ახალმა გადაწყვეტილებამ პირველი „ოლიმპიკის" (მარსელი) ფეხბურთელი ეკლუ აზარალა. ერთ-ერთი მატჩის დროს მან თითქოს განგებ გადაწყვიტა მაყურებლის გაოცება. იერიშის დროს ეკლუმ მეტოქე ვერ მოატყუა და ამით გაგულისებულმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავში წიხლი ჩასცხო. მოწინააღმდეგე უგონოდ დაეცა.

რაც შეეხება ელემენტარული წესების დამრღვევს, იგი ფეხბურთის მინდვრიდან პირდაპირ ციხეში მოხვდა: პოლიციამ მყისვე დააკავა ეკლუ. დავსძენთ, რომ სასამართლომ მას ერთი თვით პატიმრობა მიუსაჯა „ტრავმის წინასწარ განზრახვით მიყენებისთვის".

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### გამარჯვებათა თასზე

საბაზრო ქალაქების თასის ჩამტარებელმა კომიტეტმა ამასწინანდელ სხდომაზე კოპენჰაგენში განიხილა 1967-68 წლის თასის გათამაშების ფინალური მატჩების საკითხი (ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასისგან განსხვავებით, აქ ორი ფინალური მატჩი ტარდება). ერთმანეთს უნდა შეხვდნენ „ფერენცვაროში" (ბუდაპეშტი) და „ლიდს იუნაიტედი" (ინგლისი).

კომიტეტის გადაწყვეტილებით, პირველი მატჩი ლიდსში დაინიშნა 15 სექტემბერს. მხარეები ჯერ ვერ შეთანხმდნენ ბუდაპეშტის მატჩის თარიღზე.

### დიდი — პერუს ნაკრების მწვრთნელი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ბრაზილიელი ფეხბურთელი დიდი (ვალდირ პერეირა) კარგა ხანია ლიმას „ფკ კრისტალის" (პერუ) მწვრთნელია. პერუში მან საყოველთაო სიყვარული და აღიარება დაიმსახურა.

ამ მოკლე ხანში პერუელები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში იწყებენ თამაშს. მათი მეტოქენი არიან არგენტინისა და ბოლივიის გუნდები.

პერუს ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მოსამზადებლად დიდი მიიწვია. ბრაზილიელი მწვრთნელის სიტყვით, მას არავინ თხოვს ისეთ სენსაციურ შედეგს, როგორიცაა არგენტინის ნაკრების დამარცხება, მაგრამ სათანადო მომზადების შემთხვევაში პერუს ნაკრებს შეუძლია არგენტინელებს მძაფრი ბრძოლა გაუმართოს, ბოლივიელები კი დაამარცხოს.

### „ალპების თასი" — „შალკეს"

„ალპების თასის" გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „შალკე 04" (გფრ) და „ფკ ბაზელი" (შვეიცარია).

როდესაც ძირითადი დრო ამოიწურა, ანგარიში იყო 1:1. დამატებით დროში გერმანელმა ფეხბურთელებმა კიდევ 2 გოლი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 3:1.

# ვორონინას 10 ქულა

სსრ კავშირის თასი მოიპოვა მოსკოველმა ზ. ვორონინამ, რომელსაც 78,25 ქულა აქვს. ვორონინამ ოფიციალურ შეჯიბრებაში პირველად შეასრულა მეხიკოსთვის მომზადებული თავისუფალი ვარჯიში. ამ სახეობის ნებისმიერ პროგრამაში მან უმაღლესი შეფასება მიიღო —10 ქულა.

II და III ადგილები დაიკავეს 15 წლის მოსწავლეებმა — ვორონეჟელმა ლ. ბურდამ (77,95 ქულა) და თასის შარშანდელმა მფლობელმა, გროზნოელმა ლ. ტურიშჩევამ, რომელიც სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობდა (77,6).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ფეხბურთი. „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. I ჯგუფი. „დინამო" (თბილისი) — ასკ (როსტოვი). 26 ივლისი. სათადარიგო შემადგენლობანი; 27 ივლისი. ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 30 წ.

რაგბი. ასკ-ს სტადიონი. „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა. 25-28 ივლისი. მონაწილეობენ მოსკოვის, კიევის, ერევნის, ყაზანისა და თბილისის გუნდები. დასაწყისი 10 ს. და 19 ს.

თბილისის პიონერთა ზანაკების სპარტაკიადა. 25 ივლისი-3 აგვისტო კალათბურთი — კიროვის პარკში; მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში—სპორტკლუბ „სინათლის" ბაზებზე; ფრენბურთი — ქალაქის სპორტკავშირის ბაზებზე: მძლეოსნობა — ლენინის სტადიონზე. დასაწყისი 11 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 04187